# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 455

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის I გასასვლელის სახელი. თანდართული რუკის თანახმად.
3. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის II გასასვლელის სახელი. თანდართული რუკის თანახმად.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე


1:2,500
X=484377 Y=4628764
ბადრი ჭინჭარაულის ქ.
X=484421 Y=4628610
X=484425 Y=4628602
I გას
X=484533 Y=4628557
II გას.
X=484471 Y=4628472
ბადრი ჭინჭარაულის ქ.
X=484366 Y=4628373